



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



N 3392
17/07/2019

ზუგდიდი

3392-02-4-201907171208



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელებისთვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლების და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

- დელეგირების საფუძველზე მიენიჭოს ხელმოწერის უფლებამოსილება:
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ფინანსურ და სამეურნეო საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტებზე (მიღება-ჩაბარების აქტები, ბრძანება) არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარისა.
 - ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისთვის.
- ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს

კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

მერი

